ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 02/2

ქ. თბილისი 31 დეკემბერი 2020 წელი

ერთის მხრივ სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი უფროსის გელა გელაძის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,ენემი“ (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის ალექსანდრე რურუას სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ბალანსზე არსებული ავტომანქანების რეცხვისა და ქიმწმენდის (შემდგომში - მომსახურება) – (CPV 50112300) განხორციელება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, და დანართი N1-ის შესაბამისად, რომლებიც წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **516.00 (ხუთას თექვსმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს.**

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

2. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება - ჩაბარების აქტი.

4.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის საფინანსო სამმართველოს კოორდინატორი - ზურაბ მარკოზაშვილი.

4. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

4.1 მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს დანართის შესაბამისად.

5.2 მომსახურება უნდა განხორციელდეს 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.4 მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება გაწიოს სათანადო ხარისხით.

6. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულების შესრულებაზე ცალმხრივად უარის თქმის შემთხვევაში მიმწოდებელი უხდის შემსყიდველს ჯარიმის სახით ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.
7.2 მომსახურების გაწევის განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით.
7.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%-ზე მეტი ოდენობით.
8.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8.5 მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
8.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
8.7 ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი გადეცემა მიმწოდებლს, ხოლო ორი შემსყიდველს.

8. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია

აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2021 წლის 31 მარტის ჩათვლით.

შემსყიდველი:

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური
მის: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1
საიდენტიფიკაციო კოდი 205 296 650
სახელმწიფო ხაზინა
კოდი : 707667116
ტელ: 2200220 (3022)

მიმწოდებელი:

შპს ,,ენემი“

მის: აბაშის რაიონი, ს.გაუწყინარი
ს/კ: 405191901
ბანკი: ვი-თი-ბი ბანკი
ბანკის კოდი: UGEBGE22
ა/ნ: GE76TB7000011116333602
ტელ: 598202798

Giorgi Lomidze Digitally signed by Giorgi Lomidze
Date: 2020.12.31 14:21:32 +04'00'

სამსახურის უფროსი

გელა გელაძე

დირექტორი

ალექსანდრე რურუა

დანართი N1

N	შესყიდვის ობიექტის აღწერა	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ფასი
1	სტანდარტული/მსუბუქი (სედანი) ტიპის ავტომობილის რეცხვა	80	5.90	472
2	ჯიპის (მაღალი გამავლობის) ტიპის ავტომობილის რეცხვა	5	8.80	44
სულ ჯამი				516

--- ---

სამსახურის უფროსი

გელა გელაძე

დირექტორი

ალექსანდრე რურუა